

ინფორმაცია ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების ორგანიზების და ჩატარების შესახებ

ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების ორგანიზების და ჩატარების წესები საქართველოში დარეგულირებულია 2005 წლის 25 მარტის კანონით “ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ”.

კანონის შესაბამისად განსაზღვრულია შემდეგი სახის თამაშობების მოწყობა-ორგანიზება:

1. ლატარია;
2. წამახალისებელი გათამაშება;
3. სამორინე;
4. ტოტალიზატორი;
5. სათამაშო აპარატების სალონი;
6. ლოტო;
7. ბინგო.

ეროვნული ლატარიის ორგანიზების მიზნით საქართველოს მთავრობის მიერ დაფუძნებულია კერძო სამართლის იურიდიული პირი - ეროვნული ლატარიის ფონდი. კერძოდ, მთავრობის განკარგულებით ფონდი დაფუძნდა სამი სამინისტროს – კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ. სწორედ ამ ფონდმა უნდა გამოაცხადოს ტენდერი ეროვნული ლატარიის მოწყობაზე. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა რათა მოწვეული იქნას შესაბამისი გამოცდილების და კვალიფიკაციის მქონე უცხოელი კონსულტანტი, იმ მიზნით, რომ მომზადდეს სატენდერო დოკუმენტაცია და პირობები.

კანონის შესაბამისად ლატარიის ორგანიზებასა და ჩატარებაზე ტენდერში გამარჯვებულმა პირმა ლატარიის ჩატარებისას რეალიზებული ბილეთების ჯამური ღირებულების 7 პროცენტი უნდა მიმართოს სახელმწიფო

ბიუჯეტში, ხოლო 20 პროცენტი მოახმაროს სპორტისა და კულტურის განვითარებისთვის განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესრულებას.

დანარჩენ მომგებიან თამაშობებზე (ტირაჟიანი ლატარია, მომენტალური ლატარია, სამორინე, სათამაშო აპარატების სალონი, ტოტალიზატორი, წამახალისებელი გათამაშება, ბინგო, ლოტო) ნებართვას გასცემს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

ნებართვების ღირებულების საფასური განსაზღვრულია კანონებით “სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ” და “სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ”. მოსაკრებლის ოდენობა ცალკეული სახეობების მიხედვით შემდეგნაირადაა განსაზღვრული:

1. ლატარიის შემთხვევაში ბილეთების რეალიზებიდან მიღებული ამონაგების არა უმეტეს 20 პროცენტისა (2007 წლის 1 იანვრიდან);
2. წამახალისებელი გათამაშების, ლოტოს და ბინგოს მოწყობაზე 6 000 ლარი;
3. სათამაშო აპარატების სალონის მოწყობაზე 8 000 ლარი;
4. ტოტალიზატორის მოწყობაზე 12 000 ლარი.

ხოლო რაც შეეხება სამორინებს, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე (გარდა რამდენიმე გამონაკლისისა) სამორინეს მოწყობის ნებართვის ღირებულება შეადგენს 5 მილიონ ლარს. ქ. ბათუმში, დუშეთის რაიონის ბაზალეთის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე, ასევე ქობულეთისა და ბორჯომის რაიონებში ნებართვის ღირებულებაა 250 000 ლარი, ხოლო წყალტუბოს რაიონის მთელ ტერიტორიაზე სამორინეს მოწყობი თავისუფლდება სანებართვო მოსაკრებლის გადახდისგან.

აქვე გთავაზობთ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან მიღებულ ინფორმაციას 2005-2006 წლებში გაცემული ნებართვების რაოდენობის შესახებ.

2005 წელი

სათამაშო აპარატების სალონის მოწვობა	425 ნებართვა
ტოტალიზატორის მოწვობა	239 ნებართვა
წამახალისებელი გათამაშების მოწვობა	21 ნებართვა
სამორინეს მოწვობა	1 ნებართვა
ლოტოს მოწვობა	20 ნებართვა
ბინგოს მოწვობა	2 ნებართვა
ტირაჟიანი ლატარიის მოწვობა	2 ნებართვა
მომენტალური ლატარიის მოწვობა	1 ნებართვა
სულ	711 ნებართვა

2006 წელი

სათამაშო აპარატების სალონის მოწვობა	1046 ნებართვა
ტოტალიზატორის მოწვობა	268 ნებართვა
წამახალისებელი გათამაშების მოწვობა	38 ნებართვა
სამორინეს მოწვობა	2 ნებართვა
ლოტოს მოწვობა	16 ნებართვა
ბინგოს მოწვობა	3 ნებართვა
ტირაჟიანი ლატარიის მოწვობა	
მომენტალური ლატარიის მოწვობა	
სულ	1373 ნებართვა